იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფეროსი, ფილოლოგიის დოქტორი

ნინო გოგიაშვილი

მზის კონცეპტი ესმა ონიანის პოეზიაში

თანამედროვე ქართველი მხატვრისა და პოეტის - ესმა ონიანის ტექსტები ავტორის მრავალგანზომილებიანი არტისტული ხედვის განსაკუთრებული ნიმუშებია. მის ლექსებში, სახვითი ხელოვნება, მუსიკა და პოეზია უხილავი მგრძნობელობითი სენსორების მიერ აბსოლუტურად სინქრონულად აღიქმება და ნატიფ პლასტებად ლაგდება. ესმა ონიანის მშობლიური კუთხის - სვანეთის მითოსური და ფოლკლორული სურათ-ხატები, ალუზიები და რემინისცენციები განსაკუთრებულ ხიბლს სძენს მის პოეზიას.

მოცემულ მოხსენებაში მსურს ვისაუბრო მზის უნივერსალურ კონცეპტზე ესმა ონიანის პოეზიაში, რომელიც მითოსური, ფოლკლორული, არქეტიპული, ბიბლიური და ურბანული კონოტაციური პლანებით იკითხება. მზის სემიოტიკური ნიშანი განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს მისი ლექსების სვანურ ციკლში, რაც სვანური მითოლოგიის საფუძველზეა დამყარებული. „მზეო, მომადექ“! - მისი ლექსების თავისებური ლაიტმოტივია, რაც მზისგან შექმნილი ქართული იდიომებისა და ფრაზეოლოგიზმების ექსკლუზიურ გარდათქმას წარმოადგენს. მითოსი და ნადირობის ქალღმერთი დალი, წინაპრები, ხელოვნების ნიმუშები, ყოველდღიური რუტინა, ძველი უბნები, ემოციური კასკადი და მარადიული ეგზისტენციალური ლაბირინთები ესმა ონიანის ლექსებში, ხშირად, მზის და მზესთან დაკავშირებული მეტაფორებით ცხადდება; „მზისმეტყველება“ მისი პოეზიის თვისებაცაა.

მოხსენებაში განხილულია კარლ გუსტავ იუნგის არქეტიპები, როგორც ფსიქიკის უნივერსალური მოდელი და, მზის არქეტიპული კონცეპტი ესმა ონიანის პოეზიაში, სადაც ქვეცნობიერში ჩალექილი „მზე“ პოეტურ კონსტრუქციებად განსხეულდება.

მოხსენება ეფუძნება კვლევის ჰერმენევტიკულ, ანალიტიკურ და კომპარატივუსტულ მეთოდებს. ძირითად საკვლევ მასალად წარმოდგენილია ესმა ონიანის სრული კრებული - „ისევ მე ვარ?! ისევ მოვსულვარ“!

სვანურ მითოლოგიაში მზის და მზესთან დაკავშირებულ ღვთაებებად ლილე და ბარბალე იწოდებიან; სავარაუდოდ, ისინი შუმერების მზის ღვთაებებთან -ენლილესა და ბარბართან კავშირდებიან. მზე მსოფლიო მითოლოგიისა და ფოლკლორის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული კონცეპტია და სხვადასხვა ხალხების კულტურებსა და რწმენა-წარმოდგენებში სხვადასხვაგვარად ფორმირდება. მზის სახე-სიმბოლოს არა მხოლოდ ქართული წარმართული ველი, არამედ მართლმადიდებლური ხედვაც აქტიურად

წარმოადგენს. ქართული ხალხური ტექსტით დასტურდება, რომ მზეს ქალური საწყისი აქვს („მზე დედაა ჩემი“...), თუმცა, სხვადასხვა ტექსტებში მზე ხან მამაკაცია და ხან - ქალი. ბარბალეს, როგორც ქალის ნაყოფიერების საწყისის, ღვთაებისადი მიძღვნილი დღესასწაულებიდან უმთავრესი ზამთრის მზებუდობას ემთხვეოდა. რიტუალებში გამოყენებული საგნებიც მზის სიმბოლოს განასახიერებდა.

ესმა ონიანის პოეზიის დიდი ნაწილი სვანური მითოლოგიის ნარატივზე იგება. შესაბამისად, მზის ღვთაების ალუზიით შემოტანილი მზის სახე-სიმბოლოებისა და ნიშნების სიჭარბე საფუძველს გვაძლევს, რომ ვისაუბროთ „მზისმეტყველებაზე“ მის პოეზიაში. მზის კონცეპტის დომინაცია ქართულ პოეზიაში კარგად ნაცნობი მოვლენაა. ამის დასტურად მხოლოდ „ვეფხისტყაოსნის“ გახსენებაც კი გვეყოფა. თუმცა, ესმა ონიანის მზე განსხვავებული და განსაკუთრებულია და, ვეცდები, დავადასტურო ეს თეზა მოცეულ მოხსენებაში.

მის ლექსში „სვანების სიმღერა მზეზე“ ვკითხულობთ:

„მზეო, დიდო მზეო,

მზეო, საოცარო,

მზეო, მბრძანებელო,

ჩვენო სალოცავო,

მოგვადექ“! (2015 გვ.68)

ლირიკული გმირის აბსოლუტური თაყვანისცემა და მორჩილება მზის, როგორც უზენაესი ღვთაებისადმი, ყველა სტრიქონში ჩანს; დათვის ტყავის დაგებას სთავაზობს მზეს, თან ამატებს - „ვდგავარ და გიცინი,/რწმენისგან თავხედი“. ეს ის დათვია, გზაზე რომ გადაეღობა, როგორც ბოროტების იპოსტასი, ლირიკულმა გმირმა კი დაჯაბნა და ტყავი გააძრო.

ესმა ონიანის ლექსი „შთამომავალი“, რომელიც სვან წინაპრებს ეძღვნება, ისევ მზის ღვთაების მეტაფორით ფორმირდება:

„მე - შთამომავალი შთამომავალთა,

როგორც მსხვერპლთა, ისე აფთართა;

გვარწაგოზილი ერთ-ერთი გვარით -

მზის გვირგვინში ამომავალთა“... და ა.შ. (2015 გვ.71)

გარდა იმისა, რომ მზე მის წინაპრებთან და სისხლთან დაკავშირებული საკრალური მნათობია, და პოზიტიური დატვირთვის მატარებელია, მის ლექსში ნეგატივიც მზის კონოტაციით და მზესთან მიმართებაში გადმოიცემა: „შუადღის მზეში ბეჭები მეწვის, /ცხენის ფერდებიც მზის შმორით, ბეწვით“; ასევე ყველაზე ძვირფასი - ოქროც - მზისფერია - „ოქროს მზისფრად გამორიყავს“.... (2015 გვ.71)

ლექსში - „დალი კლდეში მშობიარობს“ - ლირიკული გმირი, რომელიც ნადირობის ქალღმერთი დალია, ამბობს: „მე ვმშობიარობ! მზეო, მომადექ! ბინდო, მერიდე“! (2015 გვ.82) ფრაზა - „მზეო, მომადექ“! - რომელიც „სვანების სიმღერა მზეზე“-შიც შეგვხვდა, ამ ლექსშიც მეორდება და მზის, როგორც მარადიული სინათლის, ბნელის პოლარულ ცნებად წარმოგვიდგება. თვით ქალღმერთიც კი მზეს შესთხოვს შეწევნას მშობიარობისას და ისიც არ დააყოვნებს: „შემობრუნდება მზე, ხორბლისფერ თმებში ბუდეს დაიდებს“... (2015 გვ.82)

კარლ გუსტავ იუნგის მოსაზრებით, „მზის დისკო თავისი გამანაყოფიერებელი სითბოთი სიყვარულის გამანაყოფიერებელი სითბოს ანალოგია. მზესთან და ცეცხლთან ლიბიდოს შედარება „არსებითი ანალოგიაა“. ამ შედარებაში „მიზეზობრივი ელემენტიცაა“, რადგან კეთილისმყოფელი ძალის მქონე მზე და ცეცხლი ადამიანური სიყვარულის ობიექტებია“. (2017 გვ.129-130) წინაპრების ლირიკული იერარქიისა და ნადირობის ქალღმერთ დალის მშობიარობის აღწერით, ესმა ონიანის პოეზიაში მზის, როგორც მითოლოგიური კონცეპტის არსებობა დასტურდება.

ესმა ონიანის პოეტური მზე, მითოლოგიურთან ერთად, ურბანულ კონცეპტსაც ითავსებს. მის ლექსში „ხელოვნების მუზეუმში“ ვკითხულობთ: „მზის ნედლი სუნი იდგა ტილოში“, ასევე -

„ფარდის გადახსნით გაიშალა ორთქლი და სითბო,

ათრთოლებული გადასახედი -

მზის ივლისიან ჩაგლესილებით, ქალაქ-კედლებით“.... (2015 გვ.8)

ან კიდევ:

„რაღაც დიდებულ ტაძარს ამსგავსებს მზე გარემდგომი

ძველი ქურის დაკრეჭილ ბაგეს შავს და შმორიანს“. (2015 გვ.8)

ესმა ონიანი უსათაურო ლექსში წერს:

„სამსახურში, ყავისფერი სკამების ჯოგში,

შენს მზე-თავს ვხედავ“.... (2015 გვ.9)

სხვა უსათაურო ლექსში ვკითხულობთ:

„ჩემი ოთახი.

უნაბისფერი კედლები

ჩამავალ მზეში წითლად შრიალებს“. (2015 გვ.10)

ან კიდევ:

„სინათლე ავანთეთ,

მზე ჩავიდა თავის ჟამისად“.... და ა.შ. (2015 გვ.10)

ლექსში „სტუმრობა ბავშვობისას“ ვკითხულობთ: „ეზოს თბილი ჭა აივნებით შემორიკული./ფეხი შემოვდგით, მზეში მეზობლის ჭრელი ფარდაა“. (გვ.13)

ქალაქურ გარემოშიც - სახლში, სამსახურსა და მუზეუმში - უამრავი ხდომილება მზით იხსნება და მზესთან კავშირდება. მითოლოგიური მზე ურბანულ მზედ გარდაიქმნება და, ამ შემთხვევაშიც, უმთავრეს მეტაფორებად ლაგდება: მისი სინათლით ეძლევა ხიბლი სამუზეუმო ექსპონატებს, სასურველი მამაკაცის თავიც მზე-თავია და მისი ოთახის მარტოობის ესთეტიკაშიც მხოლოდ მზე ფიგურირებს. ერთ-ერთი ლექსის სათაური კი პირდაპირ ამგვარია - „ძველი უბნის გახსენება მზიან დღეს“, რომელიც ასე იწყება:

„როგორ მეცნობა ეს მუქი მზე,

ქალით, ბავშვებით, ჩაჩუმებული მზიანი დამრეცი“... (2015 გვ.15)

ეს მუქი მზეა, ბადაგისფერი, „მისი სქელი ოქროვანი ჩამოვანებით“ და ამ ლექსში მზისფერია ყველაფერი; შესაძლებელია ითქვას, რომ „მზისმეტყველების“ ფოიერვერკია აქ! ლექსში - „მოულოდნელი ელვა მიმქრალი დღის შარავანდედში“ ასე შემოდი მზე:

„როცა ორთქლია მზიანი ქუჩის ასფალტზე, საღამოსკენ“... და ა.შ. (2015 გვ.11)

ცრუ სიყვარულის „შაოსანი ფუღუროებიდან“ „გამაყრუებელ სიყვარულის“ ხილვაც მზით ცნაურდება:

„სადარბაზოს ვარდისფერი ბათქაში მზეში,

ნიკელის ძველი საწოლის სინათლე“; (2015 გვ.16)

კარლ გულსტავ იუნგის მიერ გამოყოფილი და აღწერილი მზის არქეტიპი, როგორც ყველა სხვა არქეტიპი, კოლექტიურ არაცნობიერში არსებული სიმბოლოა, რომელიც ყველა ადამიანისთვის ორგანული და განუყოფელია. მზის არქეტიპული კონცეპტი, როგორც თვითონ მზე, „რომელიც ვარდთა და ნეხვთა“ „სწორად მოეფინების“, გაუცნობიერებლად არსებობს ადამიანის ფსიქიკის შეუსწავლელ ლაბირინთებში. ამას ადასტურებს უძველეს ხალხთა მითოლოგიებში, ფოლკლორში, რწმენა-წარმოდგენებსა და მათ შესაბამის სურათ-ხატებში ასახული მზის სოლარული სიმბოლოები, რომლის ნათელი მაგალითებია ბორჯღალო და სვასტიკა; მზე - დედა, მზე - უკვდავი ნათება, რომელიც ზღვაში ჩაინთქმება და ყოველ მეორე დღეს თავიდან იბადება; მზე - ნაყოფიერებისა და ლიბიდოს, სიცოცხლის და დაბადების არქეტიპია. ესმა ონიანის ლექსში „მე“ ვკითხულობთ:

„ავისხი ხორცი, თოთოდ დაუცველ ადამიანად გამოვმზეურდი“... (2015 გვ.21)

გამომზეურება, ამ შემთხვევაში, ადამიანად მოვლინების, დაბადების კონტექსტს ადასტურებს და ეხმიანება მზის არქეტიპულ მოდელს. ყველაფერი, რას სასიამოვნოსთან, ამაღლებულთან და ღირებულთანაა დაკავშირებული, მზის უნივერსალური კონცეპტით მჟღავნდება და მისით კონსტრუირებული მეტაფორებით ცხადდება ესმა ონიანის პოეზიაში. ბავშვობა, ბებიის შეუცვლელი სითბო, დაცულობა, სილაღე - მზის ნაირგვარი სახე-ხატებითაა სავსე.

ლექსში „შუმერთა ლოცვა აბზუსადმი“ ესმა ონიანი „მზიანის“ ეპითეტით აღწერს ჭაბუკთა თმას, და შუმერული მითოლოგიის სიკვდილის ღმერთს - აბზუს სთხოვს, დაინდოს ადამიანები სიკვდილისათვის:

„აბზუ, ჭაბუკები, თმების მზიანი ხვრელებით,

ვნებედაუმცხრალი გახელებით,

ყველას შეხედე -

კაჟისფერ მზეში კრიჭა შეჰკვრიათ!

აბზუ, ნუ მოხვალ,

ჯერ შენთან წამოსულნი დაითვალე სათითაოდ,

ნელა დაითვალე, არ იჩქარო“. (2015 გვ.124)

აბზუსთან მზე კაჟისფერია - რუხი ან შავი, რადგან ის მიღმიერი სამყაროს მნათობია, სადაც ჭაბუკებს „კრიჭა შეჰკვრიათ“. ჩამავალ მზეს „მკვდრის მზეს“ უწოდებენ, რომელიც, ხალხთა წარმოდგენით, ადამიანებს მიაცილებდა ამქვეყნიდან იმქვეყნისკენ, ასევე - ცოცხლებისათვის ჩადიოდა და მკვდრებისთვის ამოდიოდა; და ასე, დაუსრულებლად, ვიდრე სამყაროს აღსასრულამდე. როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ესმა ონიანის პოეზიაში მზე დინამიკური და არაერთგვაროვანია; ის, გამომდინარე კონტექსტებიდან, იცვლება მუდმივად და ხშირად, შესაბამისად, ცვალებადია მისი კონცეპტუალური გაგებაც. ესმა ონიანის პოეზიაში მზის კონცეპტით ვლიდება საკრალურის მარადიულობა, რომელიც ყოფით პროფანულ რეალობაში ძნელი მოსახელთებელია. ლექსში - „გარდაუვალი სიყვარული ქალების წყევლით“ - ვკითხულობთ: „მოვდივართ მდუმარედ./მთის კალთას ხევ-ხევ შემოვუარეთ./დროდადრო მზე ბრუნავს ტოტებში“. (2015) დროდადრო მბრუნავი მზე მედმივად იმეორებს თავის თავს და „მარადიული დაბრუნების მითის“ არქეტიპს ასახავს.

ლექსში „კართაგენის დაცემა“ მზის ხედზე ასახული კარიბჭეების ულამაზეს და ექსკლუზიურ სახეს წარმოგვიდგენს ესმა ონიანი: „კართაგენთან თაფლის სუნით აყვავებულა ტოტები,/კარიბჭეები - უშველებლად გაბმული მზეში“. (2015 გვ.125) მის ლექსში „მოსამხარება“ ვკითხულობთ: „სახლის გვერდით გამოდიოდა გავსილი ფური/შუქ-მომფინარი და მიმწუხარე -/და მზე გაშეშდა რიკულებში“, - (2015 გვ.117) ჰომოლოგიური თვალსაზრისით, მზე თვალია: ხედვა, თვალსაწიერი, ნათელი; ესმა ონიანის პოეზიაში საგნებისა და მოვლენების დიდი ნაწილი იხილება და ცხადდება მზის გავლით, მზესთან ერთად, მზით. სიცოცხლის წელიწადებიც მზის წელიწადებით მოიაზრება: „ცხრამეტი წლისა ვარ!/ცხრამეტჯერ მზისა ვარ“! (2015 გვ.700)- წერს ლექსში „სვანების სიმღერა მზეზე“. როგორც მირჩა ელიადე გვამცნობს, „მზის წელიწადის დროის ერთეულად მიღება ეგვიპტელებისგან მოდის. უძველეს კულტურათა უმრავლესობაში (გარკვეულ პერიოდამდე ეგვიპტეშიც) ცნობილია მთვარისა და მზის წელიწადების ერთდროულად არსებობაც“, (2017 გვ.77)

ესმა ონიანის პოეზიაში საკრალური და პროფანული სივრცეები ისეა გადაჯაჭვული და შერწყმული ერთმანეთთან, რომ, ხშირად, ზღვარი უხილავია; საკრალური პროფანულში ცხადდება. მკვდრის მზეც სწორედ ის მზეა, რომელიც ყოველდღიურად, ციკლურად, მარადიული დაბრუნების მითოლოგიური კანონით დამოგზაურობს ამ ორ სამყაროში და, გარკვეულწილად, აერთიანებს მათ. ესმა ონიანის მახვილ, გაფაციცებულ პოეტურ მზერასა და მგრძნობიარობას აღქმის მიღმა არ რჩება ეს უნივერსალური არქეტიპი და მისი მზე ორივე სოფლის მარადიული სახე, კონცეპტი და მეტაფორაა. მისი ლექსი მითოლოგიური პარადიგმებით კონსტრუირდება და აწმყო პროფანულ დროში საკრალურ გარდასახვებს გვთავაზობს. ესმა ონიანის ლექსების ლირიკული გმირი მუდმივ ინიციაციას განიცდის. მისი ლექსები, თითქოს, ლირიკული რიტუალებია, რომლის დროსაც სახლი, ქალაქი, მუზეუმი ან ქუჩა სამყაროს ცენტრად გადაიქცევა და კოსმოგონიის მითს იმეორებს. „რიტუალის პარადოქსულობა ის არის, რომ თითოეული ნაკურთხი სივრცე სამყაროს ცენტრს ემთხვევა, ისევე, როგორც ყველა რიტუალის ჩატარების დრო მითიური „დასაბამის“ დროს ემთხვევა. კოსმოგონიური აქტის გამეორების მეშვეობით, რომელშიც შენება ხორციელდება, კონკრეტული დრო მითიურ დროში, in illo tempore, პროექტდება“, (2017 გვ.41) - წერს მირჩა ელიადე.

მის პოეზიაში არც თუ ისე ბევრია ლექსი, სადაც მზის სახისმეტყველება არ ჩანდეს. როგორც ვიქტორ ნოზაძის „ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველებიდანაც“ დასტურდება, „დედამიწის ზურგზე არ არსებობდა, არც არსებობს ისეთი ხალხი, რომელს ცის, ვარსკვლავთა, კერძოდ, მნათობთა და მათ შორის, მზის თაყვანისმცემლობის ისტორია არ ჰქონოდეს. მზის თაყვანება საერთაშორისოა პირველყოფილ კულტურაში და იმ ხანას, მზე-ღმერთის ხანას უწოდებს ცნობილი გერმანელი მკვლევარი ლეო ფრობენიუს“. (1957 გვ.4)

ძველი ეგვიპტული მითოლოგიიდან დაწყებული,მზე ერთ-ერთი უმთავრესი მითოლოგიური არქეტიპია მსოფლიო ხალხთა მითოლოგიაში. მზის სიმბოლოები ასევე ნიშანდობლივია რელიგიურ ტექსტებში. როგორც კარლ გუსტავ იუნგი ამბობს, „საეკლესიო ხელოვნებამ ბევრი რამ შემოინახა მზის კულტიდან, მაგალითად: მზისებრი ნათება ქრისტეს თავის გარშემო და საერთოდ, წმინდანების შარავანდედი. ქრისტიანულმა ლეგენდამ თავის წმინდანებს მზისა და სინათლის მრავალი ატრიბუტი მიანიჭა. თორმეტი მოციქული, მაგალითად, ზოდიაქოს თორმეტ ნიშანთანაა შედარებული და ამიტომ თავზე ვარსკვლავი ადგათ. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ წარმართები, როგორც ტერტულიანე გვამცნობს, მზეს ქრისტიანთა ღმერთად მიიჩნევდნენ. მანიქეველებისთვის კი მზე მართლაც ღმერთი იყო“.(2017 გვ.144) „დაუჯდომელი ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა“-ში გვხვდება ღვთისმშობლის მზესთან ასოცირებული მეტაფორა: „გიხაროდენ, ვარსკულაო, მომფენელი მზისაო“, რომელიც ძალიან ჰგავს ესმა ონიანის მზეს, ლექსში - „მზე“ :

„ეს იმ ვარსკვლავის ცეცხლია - უსურვილოსი, გულმშვიდად ცივის,

უდრტვინველად, მომაკვდინებელ-შეუსმენლად გამოვრცობადის.

აქ მზედ იქცევა ქედებზე და ქლიავების ლურჯ სიტკბოში“, (2015 გვ.36)

მოცემულ მოხსენებაში აღწერილი მაგალითებით დასტურდება, რომ ესმა ონიანის პოეზიაში მზის სახისმეტყველება იგივე „მზისმეტყველება“ ფართო დიაპაზონით მჟღავნდება. მზე მისი ლექსის ერთ-ერთი საბაზისო სახე, მეტაფორა და სემიოტიკური ნიშანია. ესმა ონიანის ლექსში, მზით წარმოებულ ტროპებსა და სახე-სიმბოლოებში იკვეთება მზის უნივერსალური კონცეპტი, რომელიც მითოსური, ფოლკლორული, არქეტიპული, ბიბლიური და ურბანული კონოტაციური რაკურსებით იკითხება.

საკვანძო სიტყვები: ესმა, ონიანი, მზე, კონცეპტი, პოეზია

გამოყენებული ლიტერატურა:

დაუჯდომლების კრებული, გამომცემელი: საეკლესიო მაღაზია „იადგარი“. თბილისი

ელიადე, მ. მარადიული დაბრუნების მითი. არქეტიპები და განმეორებადობა. თბილისი. გამომცემლობა „ალეფი“. 2017

იუნგი, კ.გ. მეტამორფოზის სიმბოლოები. თბილისი. გამომცემლობა „დიოგენე“. 2017

ნოზაძე, ვ. ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება. კოლექცია: ბეჭდური არქივი. 1957 http://www.nplg.gov.ge/dlibrary/search.html?qs=ddc:8*

ონიანი, ე. ისევ მე ვარ?! ისევ მოვსულვარ! ესმა ონიანის სრული კრებული - პოეზია და ესეისტიკა. თბილისი. გამომცემლობა „არტანუჯი“. 2015

Concept of the Sun in Esma Oniani's Poetry

Texts by contemporary Georgian painter and poet Esma Oniani are the special examples of the author's multidimensional artistic vision. In her verses, fine arts, music and poetry are absolutely synchronously perceived through invisible sensors and are laid into the delicate layers. The mythological and folklore images, allusions and reminiscences of Esma Oniani's home region Svaneti obviously add a special charm to her poetry.

In the presented report I would like to discuss about the universal concept of the sun in Esma Oniani's poetry, which is read through mythological, folklore, archetype, Biblical and urban connotational angles. The semiotic sign of the sun acquires the special meaning in the Svan series of her poems, which are based on Svan mythology. "Sun, Come Shining at Me!" – is the is a peculiar leitmotif of her poems, which represents the exclusive transformation of Georgian idioms and phraseology created from the

sun. The mythos and Dali, the goddess of hunting, ancestors, works of art, daily routine, old districts, the emotional cascade and the eternal existential labyrinths are often declared in Esma Oniani's poems through the sun and sun-related metaphors; "sun-speech" is also a feature of her poetry.

The report addresses Carl Gustav Jung's archetypes, as a universal model of the psyche and the archetype concept of the sun in Esma Oniani's poetry, in which "the sun", ingrained in the subconscious, is embodied as poetic constructions.

The report is based on hermeneutic, analytical and comparative methods of research. As the main research material is presented Esma Oniani's almanac- *Is it me again?! I have come again!*

Keywords: Esma, Oniani, sun, concept, poetry.